ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

№ 22 (1658) ○ კვირა, 19 თებერვალი, 1961 წ. ○ გამოცემის მე-17 წელი. ○ ფასი 3 კაპ.

ვ. ბრუმელი თუ ჯ. თომასი?

გუშინ ნიუ-იორკში „მედისონ სკვერ გარდენის" დახურულ შენობაში დაიწყო მძლეოსანთა ტრადიციული შეჯიბრება, რომელშიც ამერიკელ სპორტსმენებთან ერთად მონაწილეობას მიიღებენ საბჭოთა და სხვა ქვეყნების მძლეოსნები. შეჯიბრებაში საბჭოთა ქვეყნის სპორტულ სახელს დაიცავენ ვ. ბრუმელი, ი. ტერ-ოვანესიანი და ვ. მომოტკოვი. საბჭოთა წარმომადგენლების გამოსვლა ამ დიდი მასშტაბის შეჯიბრებაში ამერიკელ სპორტის მოყვარულთა დიდ ინტერესს იწვევს. ეს გასაგებიცაა, ორთაბრძოლაში ერთმანეთს შეხვდებიან სიმაღლეზე ფენომენალური მხტომელი ვ. ბრუმელი და ამერიკელი ჯ. თომასი. უკანასკნელის მწვრთნელმა ფლენაგელმა ამას წინათ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ მისი აღზრდილი არა მარტო მზად არის ბრუმელთან დუელისათვის, არამედ გადაწყვეტილი აქვს იერიში მიიტანოს მის რეკორდზე — 225 სმ.

სპორტული მიმომხილველები აცხადებენ, რომ საბჭოთა მძლეოსნებს გამოსვლა მოუწევთ მათთვის უჩვეულო პირობებში, რადგან „მედისონ სკვერ გარდენის" დარბაზს ხის იატაკი აქვს. ამასთან აქ ნებადართულია თამბაქოს მოწევა, ხოლო ვენტილაცია ცუდად მუშაობს.

ინტერესით მოელიან აგრეთვე სპორტის დამსახურებული ოსტატის ი. ტერ-ოვანესიანის გამოსვლას, რომელიც მონაწილეობას მიიღებს როგორც სიგრძეზე ხტომაში, აგრეთვე მოკლე მანძილებზე რბენაში. მისი მოწინააღმდეგეები იქნებიან ფ. ბარდი, პ. უინდერი, რ. ბრაუნი, რ. კუკი, ა. უოშინგტონი და ბ. ჯონსონი. სიგრძეზე ხტომაში საბჭოთა სპორტსმენს გამოსვლა მოუწევს რომის ოლიმპიური თამაშების მეორე პრიზიორ ი. რობერსონის წინააღმდეგ. მომოტკოვს მეტოქეობას გაუწევენ ჯ. კანლიფი, ა. სან-რომანი, ბელგიელი რ. მუნსი და სხვები.



გრძელდება სსრ კავშირის 1961 წლის პირველობა კალათბურთში. სურათზე: ცსკა-სა და კიევის სკიფის თამაშის მომენტი.

ფოტო ვ. ტუტოვისა.



ამ სურათზე თქვენ ხედავთ საბჭოთა კავშირის ორ საუკეთესო მეკარეს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს ლ. იაშინს („დინამო", მოსკოვი) და სპორტის ოსტატს ს. კოტრიკაძეს („დინამო", თბილისი).

ფოტო მ. ზარვარიანისა.

6 მატჩი 6 მოგება

მოსკოვი. (ტელეფონით). აქ დამთავრდა სტუდენტთა სპორტული საზოგადოება „ბურევესტნიკის" ცენტრალური საბჭოს პირველობა წყალბურთში. შეჯიბრებაში დიდ გამარჯვებას მიაღწიეს საქართველოს სპორტსმენებმა (მწვრთნელი რ. ჩაჩავა), რომლებმაც მოიპოვეს ცენტრალური საბჭოს ჩემპიონის სახელი. თბილისელებმა ჩაატარეს 6 მატჩი, ყველა მოიგეს და მოწინააღმდეგის კარში გაიტანეს 29 გოლი, საკუთარში კი მხოლოდ 10 მიიღეს.

ალსანიშნავია, რომ თბილისელთა წინააღმდეგ ვერაფერს გახდა შეჯიბრებაში კონკურსგარეშე მონაწილე სტუდენტთა საკავშირო ნაკრებიც. მათი მატჩი თბილისელ წყალბურთელებთან დამთავრდა ფრედ — 2 : 2.

თბილისის „ბურევესტნიკის" წყალბურთელთა გამარჯვება შემთხვევითი როდია. მისი სპორტსმენები ნოვეიშვილი, ჩხეიძე, კერესელიძე, ხოფერია, ხავკინი, კონოვალოვი, ჩუბინიძე, ჩიკვაიძე და სხვები, რომელთა შორის იყვნენ ყველაზე პატარებიც, 15 წლის ოჩიგავა და ლეპეშინი, ენერგიულად ემზადებოდნენ ჩემპიონატისათვის.

დაიღუპნენ ამერიკელი ფიგურისტები

ლონდონი. როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, 15 თებერვალს დილით ბრიუსელის მახლობლად დაიმსხვრა ბელგიის ავიაკომპანიის საბენა „ბოინგ-707"-ს თვითმფრინავი, რომლითაც მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობისათვის პრაღაში მიემგზავრებოდა ამერიკელ ფიგურისტთა გუნდი 17 სპორტსმენის შემადგენლობით. დაღუპულთა შორის არის ცნობილი ამერიკელი ფიგურისტი ქალი მერიბელ ოუენი. კატასტროფის შედეგად მგზავრთაგან ცოცხალი არ დარჩენილა არავინ. ეკიპაჟის შემადგენლობიდან დაიღუპა 11 კაცი.

ნიუ-იორკი. იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის სააგენტო შვეიცარიიდან იუწყება, რომ ბრიუსელის საშინელმა კატასტროფამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა საერთაშორისო სპორტულ საზოგადოებრიობაზე.

მოციგურავეთა საერთაშორისო კავშირის გენერალურმა მდივანმა გ. ჰესლერმა ტელეგრაფით მიმართა ნაციონალურ კომიტეტებს, რომლის წევრთა უმრავლესობამ მოითხოვა გლოვის ნიშნად არ ჩატარდეს ის დიდი შეჯიბრება, რომელზეც მიემგზავრებოდნენ ამერიკელები.

მოციგურავეთა საერთაშორისო კავშირმა გადაწყვიტა ამერიკელ ფიგურისტთა ტრაგიკული დაღუპვის გამო არ ჩატარდეს 1961 წლის მსოფლიო ჩემპიონატი ფიგურულ სრიალსა და ყინულზე ცეკვაში, რომელიც უნდა დაწყებულიყო პრაღაში 22 თებერვალს.

გორკის „ტორპედოს" — მეორე პრიზი

დასასრულს უახლოვდება საბჭოთა კავშირის პირველობის გათამაშება შაიბიან ჰოკეიში. მიმდინარე ჩემპიონატში წარმატებით გამოდის გორკის „ტორპედო". 16 თებერვალს გორკელებმა თავიანთ მოედანზე მიიღეს მოსკოვის „კრილია სოვეტოვი" და დაამარცხეს — 4:2. ამ გამარჯვებით ტორპედოელებმა მოაგროვეს 16 ქულა და უზრუნველყვეს მეორე საპრიზო ადგილი, ეს პირველი შემთხვევაა, როცა მეორე საპრიზო ადგილი მოსკოვიდან „გავიდა". ჩემპიონატში პირველი ადგილი განაღებული აქვთ არმიელებს.

ნ. მძინარიშვილი ნახევარფინალში

სევეროდონეცკში გრძელდება ჩვენი ქვეყნის უძლიერეს ჩოგბურთელთა შეჯიბრება, რომელშიც მონაწილეობენ მოსკოვის, ლენინგრადისა და მოკავშირე რესპუბლიკების უძლიერესი სპორტსმენები. აქ წარმატებით გამოდის 17 წლის თბილისელი ჩოგბურთელი ნ. მძინარიშვილი, რომელმაც წინასწარ შეხვედრებში დაამარცხა სპორტის ოსტატი მ. კორჩაგინი, ჩვენი ქვეყნის გასული წლის ჩემპიონი მ. მოზერი და მეოთხედფინალში გასვლისათვის შეხვდა მოსკოველ ვ. ეგოროვს, რომელიც სსრ კავშირის უძლიერეს ჩოგბურთელთა ათეულის წევრია.

პირველ პარტიაში ადვილი გამარჯვება მოიპოვა ნ. მძინარიშვილმა — 6 : 0. მომდევნო პარტია მოსკოველის უპირატესობით წარიმართა და დამთავრდა მისივე გამარჯვებით — 6 : 4. მესამე პარტიაში კვლავ წინ გავიდა ქართველი ჩოგბურთელი და იგი თავის სასარგებლოდ დაამთავრა — 6 : 1. ანგარიში კვლავ გათანაბრდა, როცა ეგოროვმა მოიგო მეოთხე პარტია — 6 : 3. ყველაფერს სწყვეტდა მეხუთე პარტია, რომელიც ნ. მძინარიშვილმა თავიდან ბოლომდე კარგ სტილში ჩაატარა და მოიგო იგი ანგარიშით 6:1. ნ. მძინარიშვილი ნახევარფინალში შეხვდა თ. ლეიუსს.

...ენბარო ...ევწლისათვის

ფიზკულტურის დარგში მრავალი წლის მანძილზე ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების 70 წლისთავთან დაკავშირებით, საბჭოთა კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის პრეზიდიუმმა „ფიზკულტურის წარჩინებულის" სამკერდე ნიშნით დააჯილდოვა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის ფიზაღზრდისა და სამკურნალო ფიზკულტურის კათედრის გამგე, პროფესორი ...მ ...ლებრიშვილი.

* * *

საქართველოს სპორტკავშირმა რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯის წოდება მიანიჭა ფარიკაობაში ... ფაჩულიას (რუსთავი, „სპარტაკი").



თბილისში მიმდინარეობს საქართველოს XXII საჭადრაკო ჩემპიონატი. ამ სურათზე აღბეჭდილია თბილისელ გაგუასა და ლვოველ შტეინის თამაშის მომენტი.

შეჯიბრების ანგარიში იხ. მე-3 გვ.

საქართველოს სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს VII პლენუმი, რომელიც უნდა ჩატარებულიყო 28 თებერვალს, **შედგება 3 მარტს** საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის სააქტო დარბაზში.

დასაწყისი 12 საათზე.

ყველა რეზერვი მოქმედებაში

მნიშვნელოვანი სპორტული გამარჯვებებით მოვიდნენ თბილისის კიროვის სახელობის რაიონის ფიზკულტურელები თავიანთ მორიგ მეორე კონფერენციაზე. რაიონის სპორტსმენებმა მოიპოვეს მთელი რიგი წარმატებები ადგილობრივ, საქალაქო და რესპუბლიკურ შეჯიბრებებში. ეს შეიძლება ითქვას ჩარხმშენებელთა, ხელსაწყოთმშენებელთა, მეფეხსაცმელეთა, მკერავთა, ქიმიკოსებისა და სხვა დარგის მუშა-სპორტსმენთა შესახებ.

კიროვის სახელობის რაიონის სპორტსაზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირი აერთიანებს 62 ფიზკულტურული კოლექტივის 7.000-მდე ფიზკულტურელს, განვლილ ორი წლის მანძილზე მათი რიგებიდან მომზადდა 13 სპორტის ოსტატი (ნაცვლად ათისა), 45 პირველთანრიგოსანი, რაც გეგმას ათი კაცით აღემატება, 208 მეორეთანრიგოსანი, 521 მესამეთანრიგოსანი და სხვ. ასევე გადაჭარბებით იქნა განაღდებული ნიშნოსნებისა და საზოგადოებრივი კადრების მომზადების გეგმები.

მომხსენებელმა სპორტკავშირის კიროვის რაისაბჭოს თავმჯდომარემ ა. ცხაკაიამ და კამათში გამოსულმა ამხანაგებმა კონფერენციაზე აღნიშნეს, რომ წარმატებანი მოპოვებულ იქნა პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების აქტიური დახმარებით, ფიზკულტურის მეთოდისტების ნაყოფიერი მუშაობით. განსაკუთრებით დაწინაურდა მე-6 სამკერვალო ფაბრიკის ფიზკულტურული კოლექტივი (მეთოდისტი ა. ჯალალანია).

ვ. გაგოშიძემ (მეორე სამკერვალო ფაბრიკა), გ. ფარულავამ (ქარხანა „ელექტროავტომატი"), ზ. ბურკაძემ (მე-6 სამკერვალო ფაბრიკა), გ. კაკაურიძემ (68-ე საშუალო სკოლა) და სხვებმა ილაპარაკეს თავიანთ კოლექტივებში მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის დონის შესახებ, ილაპარაკეს მთელ რიგ ნაკლოვანებებზე. კერძოდ, აღნიშნულ იქნა, რომ რაიონი განიცდის მძლეოსნური ბაზების ნაკლებობას, სპორტულ სკოლაში დაეცა ტანვარჯიშული ჯგუფების მუშაობის ხარისხი, რის გამოც უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში 10 ჯგუფს არც ერთი პირველთანრიგოსანი არ მოუმზადებია, ნაკლოვანებებით ხასიათდება 73-ე და 74-ე საშუალო სკოლების, მეორე მექანიკური ქარხნის, მესამე სამკერვალო ფაბრიკის, სამხის საბარში ქარხნისა და სხვა კოლექტივების საქმიანობა. ნაკლოვანებები შეიმჩნევა საწარმოო ტანვარჯიშის დანერგვა-განვითარებისა და ტურიზმის პოპულარიზაციის საქმეში.

კონფერენციამ აღნიშნულ ნაკლოვანებათა გამოსწორების მიზნით მიიღო სათანადო ღონისძიება და აირჩია საბჭოს ახალი შემადგენლობა.





ჩვენი სპორტული ღირსებისათვის

მ. ამნიაშვილი

საქართველოს ცურვის ფედერაციის თავმჯდომარე

როგორც კი დამთავრდა XVII ოლიმპიური თამაშები და ცნობილი გახდა საბჭოთა სპორტსმენების ბრწყინვალე გამარჯვება, მთელის სიმკვეთრით იჩინა თავი... სამარცხვინო ჩავარდნამ ცურვაში. 23 საბჭოთა მოცურავე და მხოლოდ 5 ქალ! — ეს იყო ყველაფერი, რისი შეტანაც შეძლეს ჩვენმა მოცურავეებმა საბჭოთა კავშირის ოლიმპიური გუნდის ოქროს ფონდში.

ეს დიდი დამარცხება, რომელსაც მტკივნეულად განიცდიან ცურვის მრავალრიცხოვანი გულშემატკივრები, შემთხვევითი არ იყო, იგი ოლიმპიური გუნდის მომამზადებელი მწვრთნელთა შემდგენლობის სერიოზული ჩავარდნების კანონზომიერი შედეგი იყო. იგი, ამავე დროს, იყო კანონზომიერი შედეგი იმ სერიოზული ობიექტური ნაკლოვანებებისა, რომლებიც სპორტის ამ სახეობაში მუშაობას გააჩნია ჩვენს ქვეყანაში.

მოცურავეთა ოლიმპიური გუნდის ჩავარდნაში გარკვეული „წვლილი" მიუძღვით ჩვენი რესპუბლიკის ფიზკულტურულ ორგანიზაციებსაც. ჯერ ერთი, ოლიმპიურ გუნდში მოხვდა საქართველოს მოცურავეთა მხოლოდ ერთი წარმომადგენელი — სპორტის ოსტატი ბ. ნიკიტინი, და მიუხედავად ამისა, არც მისმა სპორტულმა კლუბმა, არც ცურვის ფედერაციამ არ გასწიეს სათანადო კონტროლი ამ მოცურავის მომზადებაზე ოლიმპიური თამაშებისათვის. ამის შედეგად კი ბ. ნიკიტინი რომში წასვლის წინ თავის საუკეთესო სპორტულ ფორმაში არ იყო.

და კიდევ: რატომ ვერ უნდა მოემზადებინათ საქართველოს ფიზკულტურულ ორგანიზაციებს მაღალი კლასის სპორტსმენები — რ. არკადიევა, ლ. კრილოვა, ა. ანტონიანი და სხვები ისე, რომ ისინი ღირსეულად მოხვედრილიყვნენ ჩვენი ქვეყნის ოლიმპიურ ნაკრებში?

ისმება კითხვა: რა უშლიდა ხელს ჩვენი რესპუბლიკის მწვრთნელებსა და სათანადო ორგანიზაციებს მოცურავეთა მაღალი შედეგების მიღწევაში? უპირველესად ყოვლისა ის, რომ ძალიან ცუდად სრულდებოდა საქართველოს სპორტსაზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმის მეტად საქმიანი ღონისძიებები, რომლებიც ჯერ კიდევ ორი წლის წინათ იყო დაგეგმილი. ეს კი მეტად სერიოზულად ზემოქმედებს რესპუბლიკის მოცურავეების კლასის ამაღლებაზე. მეორეს მხრივ, ჩვენ ხშირად გვესმის საყვედურები მწვრთნელთა მიმართ იმის შესახებ, რომ ისინი არ იყენებენ სპორტსმენთა მომზადების უახლეს, მოწინავე მეთოდიკას, გაურბიან დიდ დატვირთვას და უგულვებელყოფენ მოცურავეთა საერთო ფიზიკურ მომზადებას, და ეს საყვედურები მნიშვნელოვანწილად სწორია. ბევრ მწვრთნელს, მათ შორის წამყვანსაც, არა აქვს პერსპექტიული გეგმა და ვერ იყურება რამდენიმე წლით წინ. მაგრამ ეს მთელი რიგი ობიექტური პირობებითაა გამოწვეული.

მთავარი ამ მიზეზთაგან არის ისეთი სპორტული ბაზების უქონლობა, რომლებზე დაყრდნობითაც და რომელთა იმედითაც შეიძლებოდა შემდგარიყო წვრთნის პერსპექტიული გეგმა. სამწუხაროდ, ისეთი აუზები, სადაც შესაძლებელი იქნებოდა ნაყოფიერი სრულწლიური მეცადინეობა ცურვაში, ჩვენს რესპუბლიკას არ აქვს. არსებულ ღია აუზებს თბილისში, ბათუმში, სოხუმში და სხვა ქალაქებში წყლის გათბობის მოწყობილობა არ აქვთ და წელიწადში მხოლოდ 5-6 თვეს შეიძლება მათი ექსპლოატაცია. მაშასადამე, არავითარ გეგმაზომიერ მუშაობაზე არ შეიძლება ლაპარაკი ასეთი აუზების იმედით. გაუმართლებლად ჭიანურდება სპორტსაზოგადოება „სპარტაკის" აუზის მშენებლობა ბათუმში, დოსააფის აუზისა სოხუმში, სადაც აგრეთვე გათვალისწინებული წყლის გათბობა. ძალიან ადვილად შეიძლება მოგვარდეს აუზში წყლის გათბობა ტყიბულშიც.

„დინამომ" ჯერ კიდევ გასული წლის დასაწყისში გადაწყვიტა ღია 50-მეტრიანი საცურაო აუზის აშენება წყლის გათბობით ს. ორჯონიკიძის სახელობის პარკის ტერიტორიაზე; მაგრამ ეს ძვირფასი ინიციატივა წააწყდა სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და აბრეშუმის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ვიწრო საუწყებო ინტერესების წინააღმდეგობას, რითაც უკვე მთელი წლით დაგვიანდა მშენებლობის დაწყება.

მთელს ჩვენს რესპუბლიკაში არსებობს ერთადერთი, ოცდახუთმეტრიანი ზამთრის აუზი თბილისის „დინამოს" სტადიონზე, რომელიც უკიდურესადაა გადატვირთული. ყოველივე ამის გამო, რესპუბლიკის ნაკრები გუნდის წევრები და პერსპექტიული ახალგაზრდობა, იმის ნაცვლად, რომ კვირაში 4-6 დღეს მაინც მეცადინეობდეს, უკეთეს შემთხვევაში კმაყოფილდებიან 3 დღისა და 40 ან 60 წუთის ვარჯიშით ყოველ ამ სამეცადინო დღეში. ამასთან, ყოველ ვარჯიშზე ჩვენი ნაკრები გუნდის წევრს შეუძლია გაცურაოს მაქსიმუმ 2-3 კილომეტრი, მაშინ, როცა, მაგალითად, ავსტრალიელი და ამერიკელი მოცურავეები ყოველ ვარჯიშზე ცურავენ არანაკლებ 7-9 კილომეტრს. გასაგებია, რომ ზამთრის აუზის ასეთი გამოყენების პირობებში ლაპარაკიც ზედმეტია წვრთნის მოწინავე მეთოდების განხორციელებაზე და ამიტომაა სწორედ, რომ ჩვენი მოცურავეების კლასი ჯერ კიდევ მნიშვნელოვნად ჩამორჩება საერთაშორისო კლასს. მაშასადამე, თავისთავად გამომდინარეობს ერთადერთი დასკვნა: გადაისინჯოს ზამთრის აუზის გამოყენების განრიგი იმ მიზნით, რომ მკვეთრად გაიზარდოს ნაკრები გუნდის წევრებისა და პერსპექტიული ახალგაზრდობის წვრთნის დრო.

მაგრამ ეს ღონისძიება ოდნავადაც ვერ მოხსნის მოცურავეთა აუზებით უზრუნველყოფის პრობლემას. ამ პრობლემის ნაწილობრივ განხორციელებისათვის მაინც აუცილებლად უნდა დაჩქარდეს „შრომითი რეზერვების" ზამთრის აუზის მშენებლობა ლენინის რაიონში და ვაკეში 50-მეტრიანი აუზის მშენებლობის ფორსირება.

ჯერ კიდევ ერთი წლის წინ თბილისში ახალგაზრდობის სპორტულ სკოლასთან არსებობდა ცურვის განყოფილება, რომელიც ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა ნიჭიერი ახალგაზრდობის გამოსავლინებლად. სამწუხაროდ, ეს მეტად საჭირო განყოფილება დაიხურა, თუმცა ასეთი გადაწყვეტილების წინააღმდეგ მკვეთრად ილაშქრებდა ცურვის ფედერაცია. ბავშვებთან მუშაობა ჩვენს რესპუბლიკაში ძლიერ ჩამორჩა და ამის მაჩვენებელია ის ფაქტი, რომ საბჭოთა კავშირის გუნდურ პირველობაზე ჩვენმა გოგონებმა და ბიჭუკებმა დაიკავეს მხოლოდ მეშვიდე ადგილი. ბავშვებთან მუშაობა კი ჩვენი ყურადღების მთავარი ობიექტი უნდა იყოს, თუ გვინდა, რომ კარგი მომავალი გვქონდეს! თუ არ ჩავთვლით სპორტსაზოგადოება „დინამოს", სხვაგან არსად არ მიმდინარეობს ბავშვებთან ნამდვილი მუშაობა ცურვაში. იმის ნაცვლად, რომ ეფექტურად იქნას გამოყენებული ზაფხულის პერიოდი პერსპექტიული ახალგაზრდობის გამოსავლინებლად, ეს მუშაობა ზაფხულში ფაქტიურად წყდება და ტყუილუბრალოდ იხარჯება თანხები უპერსპექტივო ხალხზე.

სავალალო და საქმისათვის საზიანო უმოქმედობას იჩენს განათლების სამინისტრო სპორტის ამ სახეობის განვითარებაში. ერთი ასეთი ფაქტი: რესპუბლიკაში ტანვარჯიშში მოქმედებს 300 საწვრთნო ჯგუფი მოსწავლეთა შორის, მაშინ, როცა ცურვის სახეობას 40-ზე ცოტა მეტი ჯგუფი ჰყავს. მათგან 19 თბილისშია, 6 — ბათუმში, 8 — სოხუმში და 2 — ქუთაისში. თანაც, ამ ჯგუფებიდან მხოლოდ მცირე ნაწილი მუშაობს მთელი წლის განმავლობაში. იდრე ფოთის ბავშვთა სპორტულ სკოლაშიც არსებობდა ოთხი ასეთი ჯგუფი, მაგრამ ახლა მათ ნაცვლად მხატვრული ტანვარჯიშის ჯგუფებია გახსნილი. სრულიად ცხადია, რომ ბავშვთა შორის ასეთი მუშაობის შემდეგ ლაპარაკიც ზედმეტია იმაზე, რომ ჩვენთან მომზადდეს საერთაშორისო კლასის მოცურავეები. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ განათლების სამინისტროსა და ადგილებზე მისი ორგანოების მიერ სრულიად უგულვებელყოფილია ზაფხულის არდადეგების პერიოდი ცურვაში ბავშვთა მეცადინეობისათვის გამოსაყენებლად. ეს მეტად დიდი მინუსია, რომელიც ჩვენს რესპუბლიკას ათასობით ნიჭიერ მოცურავეს ართმევს. ამ უდარდელობის შედეგია ისიც, რომ ბავშვთა სპარტაკიადაზე ეს უწყება ძირითადად მხოლოდ „დინამოს" მიერ მომზადებული ნორჩი მოცურავეების გამოყენებით იფარგლება. ბავშვთა შორის მუშაობა ჩვენი უპირველესი მოვალეობაა და ეს საქმე გადაუდებლად, რაც შეიძლება სწრაფად უნდა მოგვარდეს ყველგან.

1963 წელს შედგება საბჭოთა კავშირის III სპარტაკიადა, ხოლო ერთ წლის შემდეგ—XVIII ოლიმპიური თამაშები. ჩვენი ქვეყნის ფიზკულტურული ორგანიზაციები უკვე ახლავე შეუდგნენ ამ ღონისძიებებისათვის მზადებას. ჩვენი რესპუბლიკის მოცურავეთა წინაშე ასეთი ამოცანაა: გამოიყვანონ 52 მაღალი კლასის სპორტსმენი და დაიკავონ ჩვენი სპორტული რესპუბლიკისათვის შესაფერი სპატიოსანი ადგილი სპარტაკიადაზე. ამ მიზნისათვის ძირეულად უნდა გარდაიქმნას არა მარტო მუშაობა ფიზკულტურულ ორგანიზაციებში, არამედ მწვრთნელთა მუშაობაც. ცნობილია, რომ ოლიმპიურ თამაშებზე ჩვენი მოცურავეების მარცხი დიდად იყო გამოწვეული ტექნიკაში სერიოზული ნაკლოვანებებისაგან. ამიტომ, ჩვენ განსაკუთრებით გაზრდილი მოთხოვნები უნდა წავუყენოთ ჩვენს მწვრთნელებს, რათა მათ სასწრაფოდ ამოავსონ ხარვეზები ტექნიკის სწავლებაში და ბოლოს დაბოლოს თავი დაანებონ „საერთო ჯამში" მთელი ჯგუფების მეცადინეობას, ჯგუფური შენიშვნებისა და მითითებების მიცემას, რაც დანაშაულებრივად აჭკნობს ცურვის ნორჩ ტალანტებს. მოსწავლეებს მხოლოდ ინდივიდუალური დავალებანი ვირეება და ამ საფუძველზე საჭიროა, ინდივიდუალური შენიშვნებისა და მითითებების მიცემა გამოცდილი მწვრთნელის მიერ არის ქვეყნის კუთხედი ჩვენი მოცურავეობის ტექნიკის ზრდისა. ამასთან ერთად, ერთის წამითაც არ უნდა გამოგვეპაროთ ჩვენი ყურადღებიდან ნაკლებად მოცურავე ატლეტების აღზრდის დიდმნიშვნელოვანი ამოცანა, ისეთი მოცურავეებისა, რომელთაც შეეძლებათ აიტანონ დიდი საწვრთნო დატვირთვა და მაშასადამე, აჩვენონ მაღალი საერთაშორისო შედეგები. ამ მხრივ განსაკუთრებით წასახალისებელია სპორტული კავშირის დამსახურებული მწვრთნელის ლ. იოაკიმიდის - ბაგალიოს, რომელიც ექიმთან ერთად აწარმოებს გულმოდგინე მუშაობას ნორჩ მოცურავეთა მრავალმხრივი და სპეციალური ფიზიკური მომზადებისათვის, არ ივიწყებს რა ერთ წუთითაც მათი სპორტული ტექნიკის ყოველდღიურ გამდიდრებასა და დახვეწას. ამ მწვრთნელის მიერ აღზრდილი ნორჩი მოცურავეები — ი. ამნიაშვილი, ლ. ბეჟენიშვილი, ე. მაკეევა, ტ. ნონიაშვილი, ბ. კულჩიცკაია, ა. ქორეოლიშვილი, ზ. შილაკაძე და სხვები შეადგენენ ბირთვს ჩვენი რესპუბლიკის გუნდისათვის ხალხთა III სპარტაკიადაზე.

ცურვის ფედერაციისა და რესპუბლიკის ფიზკულტურული ორგანიზაციების წინაშე მეტად სერიოზული, პატრიოტული ამოცანაა: თავიანთი მხრებით ასწიონ სპორტული ცურვის სახეობა იმ მაღალ დონემდე, რომელიც მოწინავე სპორტულ რესპუბლიკას შეეფერება.

ᲙᲘᲚᲝᲙᲘ ᲙᲘᲚᲝᲙᲘᲡ ᲙᲐᲚᲔᲓᲐᲠᲘᲡᲒᲐᲜ





ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲛᲮᲐᲢᲕᲐᲠᲗᲐ ᲙᲣᲗᲮᲔ

ნახატი ა. რევაზიშვილისა.

ჩვენი გაზეთის მკითხველთა ჯგუფის დავალებით ა. დიდებულიძემ და შ. შარაპოვმა რედაქციაში გამოგზავნეს შეკითხვა, თუ ვინ არის ცნობილი მოციგურავე ანდრე კუპრიანოვი (საფრანგეთი) და მივაწოდოთ ცნობები ამ სპორტსმენის შესახებ.

• • •

მართლაც, ვინ არის ანდრე კუპრიანოვი? ეს საკითხი აინტერესებდათ არა მარტო სპორტის მოყვარულებს, არამედ სპორტის ამ სახეობის სპეციალისტებსაც. შარშან დავოსში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატში მანამდე უცნობმა სპორტსმენმა აჯობა მრავალ გამოცდილ ოსტატს და დაიკავა მეორე ადგილი. წარმატებით გამოვიდა ა. კუპრიანოვი ახლახან დამთავრებულ ევროპის პირველობაზე და ამით შარშანდელ სენსაციას კანონზომიერი ხასიათი მისცა.

ანდრე კუპრიანოვი ეროვნებით რუსია, იგი ამჟამად 22 წლისაა. ა. კუპრიანოვი ბავშვობაში გატაცებით თამაშობდა ჰოკეის. იგი როგორღაც შეამჩნია ერთ-ერთმა მწვრთნელმა, ყურადღება მიაქცია ბავშვის დიდ სისწრაფეს და ურჩია თავისი ნიჭი გამოეცადა ყინულის ბილიკებზე. 1959 წლიდან ა. კუპრიანოვი შეუდგა ვარჯიშს რბენაში ე. ოლანდერის ხელმძღვანელობით, რომელმაც თავის დროზე აღზარდა საციგურო სპორტის ისეთი გამოჩენილი წარმომადგენლები, როგორიც ი. ანდერსენი და ს. ერიკსონი. უკვე ერთი წლის შემდეგ ა. კუპრიანოვის წარმატებებმა განაცვიფრა მისი ყოვლისმნახველი მწვრთნელიც კი: მან მსოფლიო ჩემპიონატში მოიპოვა ვერცხლის მედალი და დაამყარა საფრანგეთის 4 ახალი ეროვნული რეკორდი. ეს იყო მისი პირველი, მაგრამ დიდი გამარჯვება.

ა. კუპრიანოვი მონაწილეობდა ნკვო ველის „თეთრ ოლიმპიადაზეც", სადაც ვერც ერთი მედალი კერ მოიპოვა, მაგრამ ოლიმპიური პროგრამის ოთხივე დისტანციაზე გააუმჯობესა დავოსში ნაჩვენები შედეგები.

როგორც ცნობილია, ოლიმპიურ თამაშებზე წარმოებს მედლების გათამაშება ცალკეულ დისტანციებზე, ხოლო ა. კუპრიანოვი კი ტიპიური მრავალჭიდელია, რაც მან ნათლად დაამტკიცა ევროპის 1961 წლის პირველობაზე, სადაც დაიკავა მესამე ადგილი.

• • •

ქ. წულუკიძის სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ტექნიკუმის V კურსის სტუდენტი ბ. ნიქარიძე გვეკითხება:

1. ეოფილა თუ არა შემთხვევა, რომ თბილისელ ფეხბურთელებს მოეგოთ შეხვედრა ანგარიშით 20:0, რომელი სახელწოდებით გამოდიოდა ეს გუნდი და სად მოხდა აღნიშნული ჯმბავი.

2. ითამაშებს თუ არა 1961 წლის ხეზონში თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდის შემადგენლობაში ა. ღოღობერიძე.

3. ჩატარდება თუ არა თამაშები ხსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში თბილისის „დინამოს" სტადიონზე.

ანგარიში 20:0 თბილისელ ფეხბურთელთა ოფიციალურ შეხვედრებში ფიქსირებული არ არის. იყო შემთხვევა, როცა თბილისის „შრომითი რეზერვების" გუნდმა ანგარიშით 30:0 დაამარცხა როსტოვის თანაკლუბელთა გუნდი. ეს თამაში შედგა 1948 წელს თბილისში, ვ. ი. ლენინის სახელობის სტადიონზე.

ა. ღოღობერიძე წელს თბილისის „დინამოს" შემადგენლობაში კვლავ ითამაშებს.

თბილისის „დინამოს" სტადიონზე მიმდინარეობს რემონტი. ამიტომ წელს აქ თამაშები არ ჩატარდება.

ᲜᲔᲕᲘᲜ ᲙᲐᲘᲡᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲘ

სიდნეიში 16 წლის ავსტრალიელმა მოცურავემ ნევინ ჰაისმა გააუმჯობესა თავისივე მსოფლიო რეკორდი 220 იარდზე ბრასის სტილით ცურვაში. მისი ძველი რეკორდი დამყარებულ იყო 1960 წელს და უდრიდა 2.17,5-ს. ახალი რეკორდი ორი მეათედი წამით უკეთესია ამ დროზე — 2.17,3.

XXII ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ ᲧᲐᲖᲑᲔᲒᲨᲘ

დიდი ხანი არ არის, რაც ყაზბეგის რაიონში საფუძველი ჩაეყარა ულასიკურ ჭიდაობას. ამ საქმის ენთუზიასტმა და მწვრთნელმა ნ. ჩქარეულმა თავის ირგვლივ შემოიკრიბა ნიჭიერი ახალგაზრდობა და შეამზადა ისინი რაიონული შეჯიბრებისათვის, რომელიც ამას წინათ ჩატარდა. წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს ო. ხულელიძემ, ვ. ქუშაშვილმა, გ. ელიავამ, ო. ქუჯიშვილმა, ა. მარსაგიშვილმა, რ. ქუშაშვილმა და ნ. ჩქარეულმა.

თქმა არ უნდა, ასეთი ღონისძიების ჩატარება ჩვენს რაიონში მისასალმებელი ფაქტია, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ სპორტსმენებს არა აქვთ ხელსაყრელი პირობები წვრთნისათვის. კარგი იქნება თუ ყაზბეგის ფიზკულტურული ორგანიზაციები დახმარებას გაუწევენ ახალგაზრდა მოჭიდავეებს ამ საქმეში.

შ. მარსაგიშვილი

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავისადმი მიძღვნილმა XXII საჭადრაკო ჩემპიონატმა, რომელიც უკვე მესამე დღეა მიმდინარეობს თბილისის რუსთველის სახელობის საკონცერტო დარბაზში, შეკრიბა ჩვენი რესპუბლიკის თითქმის ყველა უძლიერესი მოჭადრაკე. ტურნირის გასაძლიერებლად მოწვეული არიან გროსმაისტერი რ. ხოლმოვი, საბჭოთა კავშირის XXVIII ჩემპიონატის გმირი, „თითქმის" გროსმაისტერი ლ. შტეინი და უკრაინელი ოსტატი ე. გუფელდი.

ბრძოლა ტურნირში დაიწყო კენჭისყრით, რომელმაც თავიდანვე დამუხტა „დამოკიდებულება" მონაწილეთა შორის. ოსტატები და გროსმაისტერი ხოლმოვი ისე განლაგდნენ სატურნირო ცხრილში, რომ შექმნეს „მომაკვდინებელი ზონა", რომელშიც ყველა მონაწილეს მოუწევს გავლა.

თავიდანვე საერთო ყურადღება მიიპყრო გავუა-შტეინის პარტიამ. ქართველმა მოჭადრაკემ ისეთი „ცეცხლი" წაუკიდა შტეინს, რომ ოსტატი იძულებული გახადა ლაზიერს გამოთხოვებოდა. მართალია, კომპესაციად შტეინმა ორი ფიგურა და აქტიური შანსები მიიღო, მაგრამ გაგუამ ოსტატურად შეაფასა პოზიცია და ლაზიერის უკან დაბრუნებით მოსაგები დაბოლოება შექმნა. მაგრამ აქ მას მოეწვენა მოგების ფორსირებული ვარიანტი და ეტლის შეწირვით საყაიმო პოზიცია გამოუვიდა. შემდეგ კიდევ ერთი შეცდომა და პარტია უარეს პოზიციაში გადადო.

ამ დღეს კიდევ ხუთი პარტია გადაიდო.

მშვენივრად ითამაშა წყალტუბელმა ბერაძემ თბილისის ჩემპიონ იზვოზჩიკოვის წინააღმდეგ. მან ფიცხელი იერიშები მიიტანა მოწინააღმდეგის პოზიციებზე და გაიმარჯვა. გუფელდ-კალატოზიშვილის შეხვედრაში ბრძოლის ველზე ძალების თავმოყრას მოჰყვა ორივე ლაშქარის ერთდროული ამოძრავება. მეტოქეები ისეთი სიმძაფრით ეკვეთნენ ერთმანეთს, რომ დადგახს ძნელი გასარკვევი იყო, თუ ვინ ვის ჯობნიდა. როცა ბრძოლა დაცხრა, გაირკვა კალატოზიშვილის ზარალი. მაგრამ იგი არ შერიგებია მას, ვიდრე გუფელდმა ჭარბი ძალებით არ დაიჩოქა მისი მეფე. საბოლოოდ დამთავრდა ეგიაშვილ-ბუსლაევის პარტია.

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲢᲣᲠᲘ

—სტუმარს ჩვენში ასე არ ხვდებიან. — იხუმრა ქ. გოგიავამ, როცა ჩემპიონატის დებიუტანტმა ეგიაშვილმა მგზნებარე შეტევით „გააშავა" გროსმაისტერი ხოლმოვი. — ალბათ ეგიაშვილს დაავიწყდა ვის ეთამაშება. მაგრამ თბილისელს კარგად ესმოდა, თუ ვისთან ჰქონდა საქმე და ამიტომ უდიდესი მონდომებით მიჰყავდა პარტია. მან ლაზიერის გამბიტში შავებით მტკიცე თამაში შექმნა, ადვილად მოიგერია ხოლმოვის მიერ მის მეფეზე მიტანილი იერიში და შემდეგ თვითონ ეკვეთა თეთრების მეფეს. გროსმაისტერი უნარიანად იცავდა თავს. მხოლოდ პაიკის შეწირვით შეძლო იერიშის მოგერიება და თამაშის დაბოლოებაში გადაყვანა. პარტია გადაიდო ხოლმოვისათვის არასახარბიელო ვითარებაში.

„ბეწვზე" ეკიდა შტეინის პოზიცია შეინცვიტთან, რომელმაც ვერ ისარგებლა ამით და დამარცხდა. გაგუამ ვერ გამოიჩინა წინადღის შეუპოვრობა და წააგო გუფელდთან. მიქაელიანს პარტიაში ბუსლაევთან წამით „დაბრმავება" პაიკი დაუჯდა, რომელიც ოსტატმა ბოლოს ციტნოტში ქულად აქცია.

ზავის დადებით დამთავრდა ჯანოევ-ლომაიასა და იზვოზჩიკოვ-ჩიქოვანის პარტიები.

✦

ᲒᲐᲓᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲐ

ორ ტურში საკმაოდ ბევრი დაუმთავრებელი პარტია დაგროვდა, მაგრამ ზოგიერთში შედეგი ფიქსირებულ იქნა თამაშის განუახლებლად. მაგალითად, კალატოზიშვილი და გიორგაძე ყაიმზე შეუთანხმდნენ ბლაგიძეს.

ბერაძე დანებდა შიშოვს, მიქაელიანი — გურგენიძეს, ჩიქოვანჯანოევისა და გამრეკელ-შიშოვის პარტიები ყაიმით დამთავრდა.

ყველას ყურადღების ცენტრში იყო გაგუა-შტეინის პარტია. პირველმა ზუსტი დაცვით ყაიმს მიაღწია.

• • •

სურათზე: ჩემპიონატის მიმდინარეობის საერთო ხედი.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

ᲝᲠᲓᲦᲘᲐᲜᲘ ᲚᲐᲨᲥᲠᲝᲑᲐ

საჩხერის რაიონის კომკავშირელთა ინიციატივით მოეწყო ორდღიანი ტურისტული ლაშქრობა მარშრუტით: საჩხერე-მოდინახე-ცხომარეთი-ჯრუჭის მონასტერი-საჩხერე. იგი მიეძღვნა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავს.

ლაშქრობაში მონაწილეობას ღებულობდა 45 კაცი, რომლებსაც ხელმძღვანელობდა ი. ჭავჭავაძის სახელობის მეორე საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელი ა. ზაბახიძე.

ლაშქრობის პირველ დღეს, 4 იანვარს, ტურისტებმა გაიარეს 16 კილომეტრი და დაბანაკდნენ სოფელ ცხომარეთის დაწყებითი სკოლის შენობაში, სადაც საკუთარი ძალებით ჩაატარეს მხატვრული საღამო.

დილით ადრე, 5 იანვარს, ნისლი ნელნელა იკრიფებოდა მდინარე ჯრუჭის ხეობიდან, რომ მოლაშქრეებმა გამამხნევებელი ვარჯიში დაამთავრეს და მსუბუქი საუზმის შემდეგ გზა გაგრძელეს. მათ ინახულეს ჯრუჭის მონასტერი, ციხე „მოდინახეს" ნანგრევები და თან დიდი ინტერესით ისმენდნენ მასწავლებლის მ. გოგატიშვილის საუბრებს საქართველოს ისტორიიდან. გზადაგზა ლაშქრობის მონაწილენი ა. ზაბახიძის ხელმძღვანელობით სწავლობდნენ ტურიზმის ელემენტალურ წესებს.

ა. ლომიძე



ეროვნული
ბიბლიოთეკა

სტუმრად ჩოხატაურში

ჩოხატაურში უკვე მეორე წელია ტრადიციად დამკვიდრდა „მოჭადრაკის დღის“ ჩატარება. ამასთან დაკავშირებით ჩოხატაურელ მოჭადრაკეებს ეწვივნენ ქართველი ოსტატები ნ. გაფრინდაშვილი, მ. ტოგონიძე და ბ. გურგენიძე.

პირველ დღეს სტუმრები შეხვდნენ რაიონის მოსწავლეებს. ნ. გაფრინდაშვილი და მ. ტოგონიძე 33 გოგონას ეთამაშენ ერთდროულ სეანსში, ხოლო ბ. გურგენიძემ გამართა ერთდროული თამაშის სეანსი 26 დაფაზე. გოგონებიდან მხოლოდ რაიონის ჩემპიონმა საჭამიასერის საშუალო სკოლის მოსწავლემ დ. სიხარულიძემ შეძლო ყაიმის მიღწევა. ვაჟებში თავი გამოიჩინეს ზ. კალანდაძემ, გ. ალანიამ და მ. კუტუბიძემ, რომლებმაც მოუგეს სეანსორს.

იმავე საღამოს სტს-ის კლუბში ბ. გურგენიძე ერთდროული თამაშის სეანსში შეხვდა რაიონის 18 უძლიერეს მოჭადრაკეს. მხოლოდ ბურნათის კოლმეურნეობის აგრონომმა ვ. წიქორიამ და სამტრესტის ჩოხატაურის ღვინის ქარხნის ტექნოლოგმა გ. მეგრელაძემ შეძლეს ყაიმის მიღწევა, დანარჩენი პარტიები მოიგო ბ. გურგენიძემ.

მეორე დღეს ოსტატები ეწვივნენ სოფელ ხიდისთავს. ოცმა კოლმეურნე მოჭადრაკემ მოსინჯა თავისი ძალა ბ. გურგენიძის ერთდროული თამაშის სეანსში. ყაიმს მიაღწიეს ი. შაქარაშვილმა და ო. სიხარულიძემ, ხოლო დანარჩენები დამარცხდნენ. ალტერნატიული სეანსი მოაწყეს ნ. გაფრინდაშვილმა და მ. ტოგონიძემ 25 დაფაზე. ყველა შეხვედრა მათი გამარჯვებით დამთავრდა.

მესამე დღეს სტუმრები ეწვივნენ ბუკისციხელ მშრომელებს.

ვ. ახალაია

* * *

ს ურ ა თ ი ებ ზ ე: ბ. ტოგონიძე, ნ. გაფრინდაშვილი და ბ. გურგენიძე ერთდროული თამაშის სეანსის ჩატარების დროს.

ფოტო ი. შაქარაშვილისა

ეპეკინში აფრიალდება 40 ქვეყნის დროშა

ეს იყო 35 წლის წინათ, ლონდონში ტარდებოდა მაგიდის ჩოგბურთელთა დიდი საერთაშორისო შეჯიბრება, რომელშიც 7 ქვეყნის — ინგლისის, ავსტრიის, გერმანიის, ინდოეთის, უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიისა და უელსის 80 ვაჟი და ქალი მონაწილეობდა. იმ დროისათვის ეს იყო უდიდესი ტურნირი. როცა შეჯიბრება დასასრულს უახლოვდებოდა, მაგიდის ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის კონგრესმა ტურნირი გამოაცხადა პირველ მსოფლიო ჩემპიონატად. ასე დაიბადა მსოფლიო პირველობა სპორტის კიდევ ერთ სახეობაში.

მას შემდეგ 24-ჯერ გათამაშდა ჩემპიონის ოქროს მედლები და 21-ჯერ მისთვის ბრძოლის ასპარეზს ევროპა წარმოადგენდა. მხოლოდ სამჯერ შეიკრიბნენ მცირე ჩოგნის ოსტატები აზიის კონტინენტზე, პირველად 1939 წელს კაიროში, შემდეგ 1952-56 წლებში ბომბეისა და ტოკიოში.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მაგიდის ჩოგბურთმა მტკიცედ მოიკიდა ფეხი აზიის ქვეყნებში და განსაკუთრებით იაპონიაში. იაპონელთა უპირატესობა ერთხელ კიდევ დაადასტურა საუბილეო 25-ე ჩემპიონატმა დორტმუნდში. მაგრამ უკანასკნელი ბრძოლების სენსაცია მაინც სრულებით ახალი მოვლენა იყო — გამოჩნდნენ სპორტის ამ სახეობაში მანამდე უცნობი ადამიანები ჩინეთის სახალხო რესპუბლიკიდან. ამიტომ გადაწყდა ჩემპიონატის ჩატარება პეკინში.

პეკინში ძალების გამოცდის სურვილი გამოთქვა 40 ქვეყანამ — ავსტრალიამ, ავსტრიამ, ბირმამ, ბრაზილიამ, გდრ-მ, გფრ-მ, თურქეთმა, იუგოსლავიამ, იაპონიამ, ეკვადორმა, შვეიცარიამ, ჩეხოსლოვაკიამ, ახალმა ზელანდიამ, საბჭოთა კავშირმა, მაროკომ და სხვებმა.

ამერიკის შეერთებული შტატები მათთვის, „არაკეთილსაიმედოდ“ განწყობილ ქალაქში წასვლაზე თავს იკავებენ.

საჭლვარტარეთის ავანსცენა

გუბნერი — „ამოთმავალი ვარსკვლავი“

როგორც ცნობილია, ოლიმპიურმა ჩემპიონმა ბირთვის კვრაში ამერიკელმა ბილ ნიდერმა უღალატა მოყვარულთა სპორტს და პროფესიონალთა რიგებში გადაინაცვლა. მაგრამ იგი პროფესიონალი მძლეოსანი კი არ გახდა, არამედ... პროფესიონალი მოკრივე.

„მე ყოველთვის ვოცნებობდი გავმხდარიყავი მოკრივე, — განაცხადა ამასთან დაკავშირებით 110-კილოგრამიანმა გიგანტმა, ბილ ნიდერმა, — ოდესღაც ვაღმერთებდი ამერიკულ ფეხბურთს. ეს მაშინ, როცა კანზასის უნივერსიტეტის სტუდენტი ვიყავი“. აღსანიშნავია, რომ ნიდერმა სწორედ სტუდენტობის დროს, ფეხბურთის თამაშისას დაიზიანა ფეხი და ეს ტრავმა დღემდე აწუხებს მას.

ნიდერმა, რომელსაც ახლახანს შეუსრულდა 25 წელი გახსნა თავისი სიჭაბუკის მეორე „საიდუმლოებაც“: მას მოყვარულ-მოკრივეთა შორის 10 ბრძოლა ჩაუტარებია, რომელთაგან 7 ნოკაუტით მოუგია. „ამას გარდა, — განაცხადა ნიდერმა, — კრივში მე არ დამჭირდება შემოტრიალება მუხლის სახსარში, ისე როგორც ამას ბირთვის კვრის დროს ვაკეთებდი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩემი მტკივანი ფეხი აღარ იქნება ჩემივე უპირველესი მოწინააღმდეგე“.

და აი, სანამ ნიდერი იცდის და მომავალ ბრძოლებს ელოდება რინგის კვადრატში (სხვათა შორის, მას დღემდე ჯერ არც ერთი გამოწვევა არ მიუღია პროფესიონალ მოკრივეთაგან), ამერიკის პრესამ და მოყვარულ მძლეოსანთა ორგანიზაციამ განგაში ატეხეს იმის გამო, რომ: „ბილ ნიდერის დალატისაგან გამოწვეული სიცარიელე მოყვარულთა სპორტში უკვე მნიშვნელოვნად შეავსო ახალმა იმედმა, ახალმა ვარსკვლავმა, რომელიც მძლეოსნობის ამერიკულ ცაზე ამოდის...“ საქმე შემდეგშია: მძლეოსნურ სექტორებზე გამოჩნდა ვინმე ჰარი გუბნერი, 18 წლის გიგანტი ჭაბუკი, რომელიც 116 კილოგრამს იწონის. ამ თითქმის ახალბედა სპორტსმენმა ბირთვი გაგზავნა 17 მეტრსა და 78 სანტიმეტრზე. ვაზეთები იუწყებიან, რომ ვარჯიშის დროს გუბნერი ხშირად უჩვენებს შედეგს — 17 მ 50 სმ და რომ, ამ ასაკში ამაზე უკეთესი შედეგი ჯერ არც ერთ ბირთვის მკვრელს არ ჰქონია, გარდა დ. ლონგისა.

ამრიგად, ჰ. გუბნერი არა მხოლოდ იმედს აძლევს ამერიკის მოყვარულთა სპორტის მესვეურებს, რომ იგი მალე დაიკავებს ბილ ნიდერის მიტოვებულ ადგილს, არამედ ამასთან ერთად „მოღალატის“ მიმართ შურისძიების თავისებური იარაღიც ხდება.

ბ. მირიანაშვილი

ფეჭვერი

საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების თბილისის საქალაქო განყოფილება და საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პროპაგანდისა და აგიტაციის სექცია 21 თებერვალს ფ. ე. ძერჟინსკის სახელობის კლუბში აწყობენ

მეხვედრას სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდის ნევრებთან

საღამოს დასასრულს ნაჩვენები იქნება სპორტული კინოსურათი.

ბილეთებზე განცხადებები კოლექტიური დასწრებისათვის მიიღება საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების თბილისის საქალაქო განყოფილებაში (ლენინის ქუჩა № 35, ტელეფონები: 3-87-84, 3-76-74, 3-10-53).

დასაწყისი 19 საათზე.

22 თებერვალი,
(რუსთავის სტადიონი)
ამხანაგური მატჩი
„მეტალურგი“ (რუსთავი) — სსრ კავშირის ნაკრები (მე-2 შემადგენლობა)

23 თებერვალი,
(რუსთავის სტადიონი)
„ლოკომოტივი“ (თბილისი) — სსრ კავშირის ნაკრები (1-ლი შემადგენლობა)

მატჩების დასაწყისი 16 ს. 30 წ.

ახალი მიმანდური სტადიონი

არგენტინის ფეხბურთის ფედერაციას სურვილი აქვს თავის ქვეყანაში ჩაატაროს IX მსოფლიო ჩემპიონატი, რომელიც 1970 წელს გაიმართება. არგენტინის პარლამენტმა უკვე მიიღო დადგენილება, რომ „სან-ლორენცოს“ სტადიონის ბაზაზე აგოს ახალი გოლიათური სპორტული ნაგებობა, რომელიც ბუენოს-აირესის გარეუბანში და 10 ჰექტარს შეიცავს.

ახალი სტადიონის ტრიბუნები (1 დიტეკენ 170.000 მაყურებელს.

✦

უნგრელები ეგვიპტეში

მსოფლიო ჩემპიონატისათვის მზადება უნგრეთის ფეხბურთელთა ნაკრებმა დაიწყო ეგვიპტეში გამგზავრებით, სადაც იგი რამდენიმე ამხანაგურ მატჩს ჩაატარებს კაიროსა და ალექსანდრიაში.

მაგრამ მარტო უნგრელებს არ აინტერესებთ ეგვიპტეში ყოფნა. მათი გასტროლები იწვევენ მომავალი მეტოქეების — ჰოლანდიისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრების დიდ ინტერესებს. გერმანელმა გაზეთებმა დაავალეს თავიანთ კაიროელ კორესპონდენტს თვალყური ადევნოს უნგრელთა გამოსვლებს და რაც შეიძლება სწრაფად წარმოადგინოს მატჩების დაწვრილებითი ანგარიში.

რედაქტორი ი. უგულავა.

საქართველოს ტანვარჯიშის ფედერაცია იუწყება
ვალენტინ ვალენტინის-ძე კოჩერგინის
გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს მის ოჯახს.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დალმართი № 12, დეპეშებისათვის, თბილისი, „ლენინ“.
ტელეფონები: რედაქტორის — 3-89-62, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, გამომშვების — 3-01-06.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 03847